

მარიამ ქობალია*

ჯანმრთელობის უფლების ხელყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 413-ე მუხლის ფარგლებში

სტატიაში განხილულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენების შემთხვევები, წინაპირობები და საფუძველი როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური სამართლებრივი მოწესრიგებისა და სასამართლო პრეცედენტების ანალიზის ჭრილში; ზოგადად მორალური ზიანის, ჯანმრთელობის უფლებისა და სხეულის დაზიანების/ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების არსი, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა, დასმულია საკითხი არასრულწლოვნისთვის მიყენებული მორალური ზიანის შესახებ, გამოკვეთილია მნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანი პრეცედენტი- ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხები, ზოგადად მორალური ზიანისთვის კომპენსაციის განსაზღვრის სპეციფიკა და მიზნები. ნაშრომში გავლებულია მკაფიო მიჯნა დელიქტით გამოწვეულ ზიანსა და 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შემთხვევას შორის.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობის უფლება, ჯანმრთელობა, მორალური/არამატერიალური ზიანი, პირადი არაქონებრივი უფლებები, მენტალური ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის ხელყოფა, კომპენსაცია, სულიერი ტანჯვა.

შესავალი

ადამიანი, როგორც სამართლით დაცული უზენაესი სიკეთე, აღჭურვილია პიროვნული უფლებებით, რომელთა გარანტირებაც განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების სამართლის უპირველესი მიზანია. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივის, ღირსების, რეპუტაციის, ჯანმრთელობის დაცვა და მათდამი გულისხმიერების ვალდებულება მთელ კანონმდებლობას წითელ ზოლად უნდა სდევდეს, რათა არ მოხდეს უხეში ჩარევა ინდივიდის პირად სივრცეში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მორალური ზიანი, რომელიც იმდენად ინდივიდუალური და სპეციფიკურია, რომ, შესაძლოა, მორალური ზიანის ანაზღაურებამ შინაგანი ნეგატიური განცდები ვერ გამოასწოროს.

არამატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობის

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

ხელყოფით, აქტუალური კვლევისა და კამათის საკითხია მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არც სასამართლო პრაქტიკა და არც სამართლის სხვადასხვა ოჯახი ერთიან მიდგომას არ და ვერ აყალიბებს თითოეული საქმის უნიკალურობიდან გამომდინარე. ნაშრომი პირადი უფლებებიდან ერთ-ერთს, კერძოდ ჯანმრთელობის უფლებას ეხება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსითა თუ სხვადასხვა ორგანული თუ ჩვეულებრივი კანონით.

სტატიის მთავარი მიზანი გახლავთ სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობების, პრინციპების, კრიტერიუმების, ფუნქციების დადგენა, მორალური ზიანის არსის განსაზღვრა, ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის გაანალიზება, კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახების მიდგომათა ურთიერთშედარება, თითოეულ მათგანზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და საბოლოო ჯამში სსკ-ის 413-ე მუხლის შინაარსზე ცნობიერების ამაღლება.

მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი.

1. სსკ -ის 413-ე მუხლის ზოგადი შინაარსი

პირადი უფლებები მეტად კომპლექსური საკითხია სამართალგამოყენების დროს. მათმა შელახვამ შესაძლოა დელიქტური მოთხოვნები წარმოშვას. არაქონებრივ სიკეთეებთან მიმართებით სამართლის სუბიექტის დაცულობას ნაწილობრივ სსკ-ის 413-ე მუხლი იძლევა, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.“¹ მაშასადამე, ზიანის კომპენსირება არა განუსაზღვრელად, ფართოდ, არამედ კანონის ჩარჩოებშია მოქცეული და შეზღუდულია. კერძოსამართლებრივ ურთიერთობას თავისთავად ახლავს მორალური/სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. *ნორმის მიზანია, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი*

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 413 I, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

გაფართოება სტაბილურობის/წესრიგის მისაღწევად.² ამასთან, პირადი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სსკ-ის მე-18 მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული საფუძვლები მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა, კერძოდ: პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია და გამოსახულება. *პიროვნული უფლებების უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე იგი ამომწურავი არაა.*³ ამასთან, მოცემული მუხლით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა არა ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შემთხვევაში, არამედ მხოლოდ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისას,⁴ რასაც აქვს თავისი გონივრული მიზეზი, რაზედაც მსჯელობა ქვემოთ იქნება მოცემული. შესაბამისად, თუ პირი განიცდის ქონებრივი სიკეთის ხელყოფით გამოწვეულ შინაგან მღელვარებას, შფოთს, მორალურ არამდგრადობას, 413-ე მუხლი მას არ ანიჭებს რაიმე კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას და სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ მეტად პრობლემატური საკითხი პრაქტიკაში.

აქედან გამომდინარე, 413-ე მუხლით კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება: *მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია ფიზიკურ პირს და არა იურიდიულს, რამეთუ ეს უკანასკნელი შეუძლებელია განიცდიდეს სულიერ ტკივილს; დარღვეულ უფლებებს უნდა გააჩნდეთ პირადი არაქონებრივი ხასიათი.*⁵ ამასთან, კანონმდებელი მიჯნავს არსებით და არაარსებით ზიანს. ასევე, შესაძლოა მართლაც დადგეს არამატერიალური ზიანი, თუმცა *თუ კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული ან ფსიქოლოგიური ტანჯვა სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფის პირდაპირი შედეგი არ არის, ზიანი არ ანაზღაურდება.*⁶

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-477-477-2018.

³ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2012, 330.

⁴ რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, *ჭანტურია ლ.* (რედ), 2019 წელი, მუხლი 413-ე, ველი 5.

⁵ ამოევი ე., ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 15.

⁶ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, „თსუ-ს სამართლის ჟურნალი“, I, 2017 წელი, 18.

2. ჯანმრთელობის ცნება, ჯანმრთელობის უფლება

მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის ცნების განსაზღვრა, რასაც არ შეიცავს ქართული კანონმდებლობა, თუმცა შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და აქტებით.

1948 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ყველას აქვს ცხოვრების იმ სტანდარტის უფლება, რომელიც ადეკვატურია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისთვის ⁷. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულა განამტკიცებს, რომ „*ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობა და არა დაავადებისა და უძლეურობის არარსებობა.*“⁸ „სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას.“⁹ „ჯანმრთელობის უფლება ადამიანის აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს და სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული საგანია.“¹⁰ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ჯანმრთელობის უფლებას არ მიაკუთვნებს ერთი კონკრეტული რასის, რელიგიის მიმდევართ, კონკრეტული პოლიტიკური მრწამსის მატარებელთ ან განსაზღვრული სოციალური მდგომარეობის მქონეთ.¹¹

დეფინიციათა სიმრავლე ლოგიკურია ჯანმრთელობის ფუნდამენტური ხასიათიდან გამომდინარე. ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობა ყოველი ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა რასის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. საზოგადოების ჯანმრთელობა ფუნდამენტია საზოგადო მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ადამიანებისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობაზე. სხვადასხვა სახელმწიფოს არათანაბარი განვითარება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებების, განსაკუთრებით, გადამდები დაავადებების კონტროლის კუთხით, საერთო

⁷ Universal Declaration of Human Rights, Article 25, 1948, <https://www.un.org/en/udhrbook/pdf/udhr_booklet_en_web.pdf> [05,11,2022].

⁸ Constitution of the World Health Organization, 1946, <https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf> [05,11,2022].

⁹ საქართველოს სკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება საქმეზე N2/3/441.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-669-2019.

¹¹ World Health Organization, Constitution of The World Health Organization, 1946,1 <https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf> [05,11,2022].

საფრთხეა.

მაშასადამე, აუცილებელია ყოველ მართლწესრიგში, რომელიც აღიარებს დემოკრატიულ/სოციალურ პრინციპებსა და ღირებულებებს, განმტკიცებული იყოს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი გარანტიები. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლში საუბარია ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე, რომელშიც დეკლარირებულია მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ/ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, ეს ყოველივე კი უზრუნველყოფილია კანონით.¹³ კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით(რომელშიც განმტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება, დიკსრიმინაციის აღკვეთა და ა.შ) და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის შესაბამისად, „ყველას აქვს პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უფლება ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილ პირობებში.“¹⁴

აქედან გამომდინარე, თუ არ იქნება დაცული ადამიანის ჯანმრთელობა, პირველ რიგში ზიანი მიადგება საყოველთაო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ჯანმრთელობის დაზიანება ფუძემდებელია სხვა უმნიშვნელოვანესი უფლებების შეზღუდვისა, როგორცაა შრომის, განათლების და სხვა უფლებები, ვინაიდან მდგრადი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარეშე შეუძლებელია რომელიმე მათგანის დამაკმაყოფილებლად განხორციელება.

3. ჯანმრთელობის ხელყოფა და არამატერიალური ზიანი

3.1 ჯანმრთელობის ხელყოფა

ჯანმრთელობის ხელყოფაში არ იგულისხმება მხოლოდ ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება. სხეულის დაზიანება შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური. ფიზიკურ დაზიანებაში იგულისხმება ადამიანის სხვადასხვა ორგანოთა ზიანი, ხოლო ფსიქიკურში–შოკის შედეგად

¹² <<https://www.who.int/about/governance/constitution>> [05, 11, 2022].

¹³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

¹⁴ Charter of fundamental rights of The European Union, Article 35, 2000 <https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf>, 16, [25,02,2022].

დამდგარი ზიანი.¹⁵ ადამიანს სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია მიაღგეს არანაკლებ მძიმე ჯანმრთელობის ზიანი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არაერთი უნარის დაქვეითება და შედეგად აქტიური სოციალური ცხოვრების დაკარგვა, ვიდრე ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში.

სტატიის ინტერესის სფეროს სსკ-ის 413 მუხლის მეორე ნაწილი წარმოადგენს, 413 II მუხლის სისტემური ადგილიდან გამომდინარე, ის არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს. ამ დანაწესის წინაპირობაა, რომ დამზიანებელი სხვა, პასუხისმგებლობის წარმომშობი, საფუძველიდან გამომდინარე, ვალდებული იყოს, ანაზღაუროს ზიანი სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.¹⁶ ამ საკითხზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა. საქმე ეხებოდა ნ.ს-ძის სარჩელს, რომელიც მოითხოვდა ხანძრის შედეგად ქონების განადგურებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაზედაც, ცხადია, არ ვრცელდება 413-ე მუხლი, რამეთუ ტელეოლოგიური რედუქციის გამოყენებით ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა ქონებრივი ზიანის შედეგად სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში.¹⁷ აქედან გამომდინარე, მოსარჩელის სულიერი ტანჯვა, ტკივილი, რომელიც გამოწვეულია საკუთრების უფლების ხელყოფით, არ ექცევა განსახილველი ნორმის ფარგლებში, ვინაიდან ჩვენ საუბარი გვაქვს ჯანმრთელობისადმი ვნების მიყენების შედეგად გამოწვეულ მორალურ ზიანზე და არა ქონების დაზიანებისკენ მიმართული ქმედებით გამოწვეულ მორალურ ზიანზე. „პირველადი ზიანი გამოწვეული იყო მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით, რომლითაც ხელყოფილ იქნა არა ჯანმრთელობა, არამედ ქონება.“¹⁸

3.2 მორალური ზიანის არსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის დეფინიციას, უზენაესი სასამართლო კი ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ფიზიკური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ტანჯვა, რასაც სამოქალაქო

¹⁵ ი.კროპჭოღერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 630.

¹⁶ რუსიაშვილი გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, *ჭანტურია ლ.* (რედ), 2019 წელი, მუხლი 413-ე, ველი 3.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *ნას-1156-1176-2011*

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *ნას-1156-1176-2011*.

ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.“¹⁹ „არაქონებრივი ზიანი ქონებრივის საწინააღმდეგო მოვლენაა და მისი კალკულაცია უშუალოდ ფულით არ არის შესაძლებელი.“²⁰ შედარებით იოლია, განსაზღვრო კომპენსაციის ოდენობა ქონებრივი ზიანისას დაზიანებული სიკეთის ფასით, თუმცა საკმაოდ რთულია, შეუსაბამო ფულადი ანაზღაურება ინდივიდის სულიერ განცდებს. „როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია.“²¹ საჭიროა, გაიმიჯნოს არაქონებრივი უფლებები ქონებრივისგან, რაც, პირველ რიგში, ბრუნვაუნარიანობის კრიტერიუმით ხდება. *ქონებრივისგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ან სხვა სახის ობიექტად ქცევა დაუშვებელია.*²²

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება მორალურ ზიანთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, „ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია.“²³ არაქონებრივი ზიანი ფიზიკური და/ან სულიერი ტანჯვაა, რასაც შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია (შედეგი).²⁴ შემდეგ თავში წარმოდგენილია განხილვა ერთ–ერთი საინტერესო პრეცედენტისა ქართულ მართლმსაჯულებაში.

3.2.1 არასრულწლოვნისთვის მიყენებული მორალური ზიანი და მოთხოვნის ხანდაზმულობა

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი, 2007, 69.

²⁰ *ამოვეი ე.*, ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 10, იხ.ციტირება: *Wurmnest W.*, Grundzuge eines eurpaischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tubingen, 2003, 287.

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-78-78(კ-12).

²² *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 133.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1477-1489-2011).

²⁴ *ბიჭია მ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, N3, 2016, 101.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში დადგა საკითხი არასრულწლოვნისათვის ჯანმრთელობის გაუარესების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილობის თაობაზე. საქმის გარემოებებიდან ვარკვევთ, რომ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთების შემდგომ დაზარალებულს განუვითარდა პოსტვაქცინალური მწვავე ენცეფალომიელიტი. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი ვაქცინასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც, როგორც უმოქმედობით მიყენებული ზიანი, ობიექტურად შეერაცხა ვაქცინის მწარმოებელ კომპანიასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ამ უკანასკნელმა საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ დაზარალებულს არასრულწლოვანების გამო მორალური ზიანი გათვითცნობიერებული არ აქვს, მორალური ზიანი კი არის განცდა, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ამ საფუძვლით სამინისტრო უარს აცხადებდა კომპენსაციის გადახდაზე. საინტერესოა, რამდენად შეიძლება პიროვნების ასაკით მისი შინაგანი მდგომარეობის, ცნობიერების დონის დადგენა. ცხადია, პიროვნული უნარები, ფსიქოლოგიური სიმწიფე და თვითგაცნობიერება ასაკზე არაა მიბმული და ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურია. ის ზიანი, რომელიც დაზარალებულს მიადგა, მეტად მძიმე იყო, რამაც გამოიწვია აქტიური ცხოვრების შეზღუდვა, დაზარალებული ყოველდღიურად და რეგულარულად საჭიროებს სხვა პირის მზრუნველობას, ამ ზიანმა დაზარალებულის ცხოვრების წესი რადიკალურად შეცვალა აქტიურიდან პასიურამდე სწორედ მწარმოებელი კომპანიის მიერ ვაქცინის გვერდითი მოვლენების შეუტყობინებლობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას (სრულწლოვნების ასაკს) და იგი ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვ.) შესაძლოა უფრო მეტი სიმწვავეთ განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.“²⁵ ამდენად, რუტინის, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლით გამოწვეული მორალური ტანჯვა არ არის დამოკიდებული პირის ასაკზე.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სსკ-ის 1008-ე მუხლის საფუძვლით, რომელიც ითვალისწინებს 3 წლიან ვადას იმ მომენტიდან, როდესაც

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-972-936 (3კ-08).

დაზარალებულმა შეიტყო ზიანის/ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არ უკავშირდება კონკრეტულ თარიღს. ზოგადად, მორალური ზიანის აღმოჩენა და მისი დაკავშირება რაიმე კონკრეტულ თარიღთან, თანაც 3 წლიან ვადაში „ჩატევა“, ძალიან რთულია, რადგან შესაძლოა სულიერი ტკივილი ევოლუციას განიცდიდეს უმნიშვნელოდან სერიოზულამდე, ხოლო „სერიოზულობის სტადია“ სწორედ 3 წლის გასვლის შემდეგ დადგეს. კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ „მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, მკურნალობის უშუდეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს.“²⁶

ამრიგად, სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მორალური ზიანის, როგორც ფაქტის, არსებობის ასაკით დადგენის დაუშვებლობის შესახებ, აგრეთვე გამოიკვეთა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მეტად საკამათოა, რადგანაც რთულია, განსაზღვროს მორალური ზიანის მიყენების თარიღი.

3.3 მორალური ზიანისთვის კომპენსაციის განსაზღვრა

როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველი მუხლი ზიანის ანაზღაურებას აფუძნებს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებს. ერთ–ერთი ასეთი კანონით გათვალისწინებული შემთხვევა 413–ე მუხლის მეორე ნაწილი გახლავთ, რაც კავშირშია ჯანმრთელობის დაზიანებასთან. „კომპენსაციის მიზანი არაა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, არამედ სულიერი და ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა.“²⁷ „კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება.“²⁸ „ზიანის ანაზღაურება ხშირად არა რესტიტუციური, არამედ კომპენსაციური ბუნებისაა. კომპენსაციური ხასიათის

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს–972-936 (3კ-08).

²⁷ *ძლიერაშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალები ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), „სტუდენტურ სამართლებრივი ჟურნალი“, 111.

²⁸ *ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, წიგნი III, 2001, 473.

იქნება ყოველთვის მორალური ზიანის რეპარაციაც.”²⁹

„გონივრული და სამართლიანი“ ანაზღაურება, რომელსაც 413-ე მუხლი ადგენს, წმინდა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ ქეისს განსხვავებულად ერგება. კომპენსაციის განსაზღვრისას მნიშვნელობა მიენიჭება იმას თუ რამდენად მძიმედ მოხდა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, რამდენად მიუძღვის ბრალი მოპასუხეს, მხედველობაში მიიღება მხარეთა ეკონომიკური მდგომარეობა, მიყენებული ზიანის გავლენა დაზარალებულის ცხოვრების წესსზე, ზეგავლენის ინტენსივობა, ხანგრძლივობა და ა.შ. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. *მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება.*³⁰

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს პოზიციაც, კერძოდ: „413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხს, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას, მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, დაზარალებულის ცხოვრების პირობებს და სხვა გარემოებებს.“³¹ *მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს სავარაუდო თანხა, რომელსაც ის ითხოვს, თუმცა მისი განსაზღვრა გონივრულობის კრიტერიუმით მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.*³²

რადგან ანაზღაურება დაზარალებულის შინაგან ტანჯვასა და მის აღქმაზეა დამოკიდებული, საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როდესაც დაზარალებული აღქმის უნარს სრულად კარგავს და ლოგინსაა მიჯაჭვული. ერთი მოსაზრება მხოლოდ სიმბოლურ კომპენსაციას უჭერს მხარს, რადგან დაზარალებული ტკივილს არ განიცდის, რაც, ავტორის აზრით, უსაფუძვლო და სამართლიანობას მოკლებული პოზიციაა, რადგან ობიექტურად სახეზე გვაქვს დაზარალებულის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამზარალებლის ქმედებასთან, რამაც რადიკალურად შეცვალა პირის ცხოვრება. ამიტომ, არ უნდა განვმარტოთ ნორმა ზედმეტად მშრალად,

²⁹ *კეპანაშვილი ნ.*, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2016, 43, იხ. ციტირება: *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი N2“, 1978, გვ. 54

³⁰ *მესხიშვილი ქ.*, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების განხილვა, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, თბილისი, 2012, 102.

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-972-936 (3კ-08).

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-972-936 (3კ-08).

უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური გარემოებანი და ის სავარაუდო განცდები, რომელსაც პირი განიცდიდა გონზე ყოფნისას. „კონსტიტუციით უზრუნველყოფილი „პიროვნულობის ხელშეუვალობის“ გათვალისწინებით, დაუშვებელია, დაზარალებულის აღქმის უნარის დაკარგვამ დამზიანებელი სრულად გაათავისუფლოს მორალური კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისგან.“³³ ამ პოზიციას იზიარებს გერმანული სასამართლო პრაქტიკაც, რომელმაც დაადგინა, რომ ზიანის აღქმასა და განცდაზე დაფუძნებული ანაზღაურების ვალდებულება არასამართლიანად შეზღუდავდა მორალური ზიანის ანაზღაურების არეალს, რამაც გააჩინა სამართლებრივი დაშვება ცნობიერების მეტ-ნაკლები დაკარგვის შემთხვევებშიც მომხდარიყო მორალური ზიანის კომპენსაცია.³⁴ ანალოგიური მიდგომაა განვითარებული ფრანგულ სამართალშიც, კერძოდ, *დაზარალებულს აუნაზღაურდება „არაკომფორტული ცხოვრებით“ გამოწვეული მორალური ზიანი მიუხედავად იმისა, რომ თავად არ აქვს შესაძლებლობა შეიგრძნოს იგი.*³⁵

ჰოლანდიური სამართლებრივი დოქტრინა საპირისპირო მოსაზრებას ავითარებს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ცნობიერებადაკარგული პირი არ განიცდის არანაირ არაქონებრივ ზიანს, რადგან ამის უნარი არ აქვს და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ანაზღაურებით ვერ იქნება მიღწეული დაზარალებულის დაკმაყოფილების მიზანი, რამდენადაც ამ უკანასკნელს არ შესწევს უნარი მისი გამოყენებისა.³⁶

4. მოთხოვნის სუბიექტის განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილების განხილვა

413-ე მუხლი მორალური ზიანისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილ პირად განსაზღვრავს უშუალოდ მას, ვისაც ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიაღვა არამატერიალური ზიანი. ნორმით დაცულ სიკეთეს არ წარმოადგენს სიცოცხლე და მისი ხელყოფით შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების, გარდაცვალებულის ახლობლების

³³ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III, 2019, მუხ. 413, ველი 11.

³⁴ *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, „თსუ-ს სამართლის ჟურნალი“, N1, 2018, 100.

³⁵ *დანელია თ.*, პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2019, 37.

³⁶ იქვე, 36

მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხი, თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც გარდაცვლილის მშობლები ან კანონიერი მემკვიდრეები ითხოვენ კომპენსაციას. ერთ-ერთი საქმის მიხედვით მოპასუხე ავიაკომპანიამ რუსეთიდან ცხედრის საქართველოში გადმოსვენების ნაცვლად, იგი გადაასვენა სამხრეთ-კორეაში, თანაც ამის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია მოსარჩელისათვის, რამაც გამოიწვია მასში სულიერი მღელვარება, რამეთუ არ უწყოდა, სად იყო მისი შვილის ცხედარი. შედეგად, ცხედარი საქართველოში დაგვიანებით ჩამოსვენეს. სააპელაციო პალატამ, საქალაქოსგან განსხვავებით, დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ შვილის ცხედრის ადგილსამყოფლის შეუტყობინებლობამ გამოიწვია მოსარჩელის ღირსების შელახვა და სულიერი ტკივილი, ამას დასძინა დაკრძალვის რიტუალის განუხორციელებლობა ქართული ტრადიციის მიხედვით, რასაც საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამ რიტუალის დარღვევამ შეიძლება ცალკე გამოიწვიოს უდიდესი სულიერი ტკივილი იმ მიზეზით, რომ გარდაცვალებულის ღირსება შეილახა და არ ერგო წესისამებრ გამოთხოვება. საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციოს გადაწყვეტილება 413-ე მუხლის საფუძვლით, რადგანაც მოსარჩელის განცდები(მის ფსიქიკურ და სულიერ სფეროში ნეგატიური ზემოქმედება) მისი ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მიიჩნია, რაც მოპასუხის ვალდებულებისა და გულისხმიერების დარღვევამ გამოიწვია.³⁷ აღნიშნული გადაწყვეტილება მეტად საკამათოა, რადგან, როგორც ჩანს, არც გადაზიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნორმები ითვალისწინებს არამეტერიალური ზიანის ანაზღაურებას და მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს მოსარჩელის სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც მორალური ტკივილის განმაპირობებელი ფაქტორი. 413-ე მუხლის მეორე ნაწილის არსიც ხომ ისაა, რომ სულიერი ტანჯვის საფუძველი ჯანმრთელობის დაზიანებაა, აქ კი მოსარჩელეს ჯერ მიადგა სულიერი ტკივილი, რასაც შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. ამგვარმა სამოსამართლო კანონშემოქმედებამ მომავალში შეიძლება არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას მისცეს ბიძგი.³⁸ „413 II მუხლში ადამიანის სიცოცხლე არ არის მოხსენიებული დაცულ სიკეთედ, რის გამოც გარდაცვალებულის ახლობლებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ ამით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის ფულადი კომპენსაცია. ამიტომაც, საბოლოო ჯამში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 413-ე მუხლის ფარგლებს სცდება, როდესაც ის

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-979-940-2014.

³⁸ ბერიძე ნ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისას, "შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი", 62.

ავიაკომპანიის მიერ გარდაცვლილი პირის ცხედრის სხვაგან გაგზავნისა და ამით გამოწვეულ განცდებს მიიჩნევს გარდაცვლილის ნათესავებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად. რისგანაც განსხვავდება შოკით (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევით) მიყენებული ზიანის შემთხვევები (იხ. მუხ. 412 მე-18 ველი), რადგან აქ საქმე ეხება უშუალოდ ახლობელი პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.³⁹ განსხვავებული მოსაზრება შეიძლება დასაბუთდეს შემდეგნაირად, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა იმდენად სპეციფიკურია ინფორმაციის შეუტყობინებლობის, დაკრძალვის ტრადიციის სრულყოფილად შეუსრულებლობისა და სხვა ფაქტორების გამო, რომ შესაძლებელია, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, განივრცოს 413-ე მუხლის გამოყენება, მიეცეს მეტი გასაქანი სამოსამართლო სამართალშემოქმედებას. „სასამართლოებმა თავად უნდა ამოავსონ კანონის ხარვეზები და დასაბუთებული აუცილებლობისას, შექმნან მორალური ზიანის ანაზღაურების ახალი პრეცედენტები.“⁴⁰

ამის საპირისპიროდ, პრაქტიკაში გვაქვს მოპასუხის მიერ საავტომობილო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მშობლის საჩივარი მორალური ტანჯვის კომპენსაციის მოთხოვნით.⁴¹ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, სასამართლომ გააუქმა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებანი და დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა, რომელმაც გადაიხადა 12 000 ლარი დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად და ფიქრობდა, რომ არ იყო ვალდებული, აენაზღაურებინა მორალური ზიანი გარდაცვლილის ახლობლისა. სასამართლომ განმარტა, რომ 1006-ე მუხლი ითვალისწინებდა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირების სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლებას, რაც მოიცავს მხოლოდ მატერიალურ ზიანის ანაზღაურებას და არა არამატერიალურისა. 413-ე მუხლის საფუძვლით განიმარტა, რომ კანონი ზუსტად განსაზღვრავს, რომელი სიკეთის ხელყოფისთვის აქვს უფლება პირს, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. 413-ე და 1006-ე მუხლების ურთიერთშეჯერებით, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ხელყო მოსარჩელის შვილის სიცოცხლე და არა უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობა. საინტერესოა, რომ მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე

³⁹ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III, 2019, მუხლი 413-ე, ველი 6.

⁴⁰ *ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, წიგნი III, 2001, 471.

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-593-568-2016.

ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება უბედური შემთხვევის გამო ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომლებიც, ამის გამო, შეიძლება, გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან, რაც ამ ქეისში არ გვქონდა სახეზე.

საინტერესოა ერთ-ერთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც თუ ახლობელი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, მას წარმოექმნება დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის, ვინაიდან იგი განიცდის ფიზიკურ/ზნეობრივ ტანჯვას.⁴² აღნიშნული მოსაზრება 413-ე მუხლის დაუსაბუთებელი განვრცობაა, რადგან სახეზე გვაქვს ნანახით გამოწვეული მორალური ტანჯვა, რომელიც არ არის გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებით. რა თქმა უნდა, გამონაკლისები საქმის უნიკალურობის გათვალისწინებით, დასაშვებია, თუმცა ზოგადი დანაწესის განსაზღვრა, რომ ნანახით განცდილი სულიერი ტკივილი შესაძლოა ანაზღაურდეს, მრავალი სამართლებრივად საფრთხისშემცველი შედეგის აღმოცენების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ამ კუთხით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც ასახულია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა სამედიცინო გაუფრთხილებლობის შედეგად შვილის გარდაცვალების შედეგად მშობლის მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით. ეროვნულ დონეზე აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით საკასაციო ინსტანციამ განმარტა შემდეგი: „სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის შედეგად (ქირურგიული ოპერაცია, არასწორი დიაგნოსტიკა და სხვ.) უნდა ანაზღაურდეს საერთო საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურდება არა ყველა სახის მორალური ზიანი (ფსიქიკური ტანჯვა) თუნდაც უდავო იყოს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ის, რის ანაზღაურებაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული..“ „სადავოს არ წარმოადგენს ის, რომ მშობელს ადგება ზიანი ახალგაზრდა შვილის

⁴² ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, 2016, 53, იხ.ციტირება: ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 101.

გარდაცვალების შემთხვევაში, მაგრამ ეს არ შეიძლება ანაზღაურდეს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პირდაპირ არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით.“⁴³ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და მიუთითა ევროპული კონვენციის მეორე მუხლის დარღვევაზე, კერძოდ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულების დარღვევაზე. ევროპულმა სასამართლომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაადგინა: „სასამართლომ მანამდეც აღნიშნა, რომ საქმეებში, რომლებიც შეეხება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს, რომლებიც მიჩნეულია კონვენციის ყველაზე უფრო ძირითად ნორმებად, მათი დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სამართლიანი დაცვის საშუალების ერთ-ერთი ფორმა..“⁴⁴ „შედეგად, უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალება. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულების დარღვევას.“⁴⁵

5. გერმანიის მიდგომა

ვინაიდან და რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უმეტესად რეცეფცირებულია სწორედ გერმანულისგან, მნიშვნელოვანია გერმანული დოქტრინისა და საკანონმდებლო მოწესრიგების განხილვა მოცემულ კონტექსტში.

გსკ-ის 253-ე პარაგრაფის მიხედვით: „არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნით იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.“⁴⁶ ზიანის ოდენობის განსაზღვრა გსკ-მ გონივრულობის

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, 19 ივლისი 2018, 41-42.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, 19 ივლისი 2018, 96.

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, 19 ივლისი 2018, 98.

⁴⁶ *კროპჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 135

პრინციპს დაუკავშირა. „მორალური ზიანის აღმნიშვნელი ტერმინი გერმანიაში გახლავთ „Schmerzensgeld,“ რომელიც ფულადი კომპენსაციაა ტანჯვისთვის და გრძნობების ხელყოფისთვის, რომლის ოდენობაც მოსამართლის მიერ განისაზღვრება მატერიალური ზიანისგან დამოუკიდებლად და ის ემოციური მდგომარეობის დარღვევასთანაა გაიგივებული.“⁴⁷ გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მიხედვით, „პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი,“⁴⁸ რომლის ანალოგად შეგვიძლია სსკ-ის 992-ე მუხლი მივიჩნიოთ, რადგან ორივე მათგანი ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ხარჯების კომპენსაციის შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც გსკ-ის 253-ე პარაგრაფი წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.⁴⁹ გერმანული სამართლის მიხედვით, სხეულის დაზიანება არის წმინდა გარეგანი ზიანი, როდესაც ჯანმრთელობა ზიანდება შინაგანი ფუნქციების დარღვევისას. დაზიანება შეიძლება იყოს ფიზიკური (დარტყმა, მოწამვლა) ან ფსიქიკური (შოკის შედეგად მიყენებული ზიანი). მოითხოვება ზიანის მიყენებისას პირის უშუალო მონაწილეობა ან მისი ახლო კავშირი.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ გსკ-ის 253-ე პარაგრაფი ითვალისწინებს სექსუალური თვითგამორკვევის შელახვისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.⁵¹ საინტერესოა, რა ვითარებაა გერმანიაში ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტანჯვის ანაზღაურების თაობაზე. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ამისთვის განსაზღვრა შემდეგი წინაპირობები: ტრავმა უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანება და არა მწუხარება; დაავადება უნდა იყოს სერიოზული და ხანგრძლივი; უნდა არსებობდეს ახლო ურთიერთობა გარდაცვლილსა და მოსარჩელეს შორის; ეს რეაქცია არ უნდა იყოს მოსარჩელის პერსონალური გამძაფრებული აღქმის გამო დამდგარი შედეგი.⁵²

ამის საპირისპიროდ მეტყველებს გერმანული პრაქტიკიდან რამდენიმე

⁴⁷ ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(51), თბილისი, 2016, 99.

⁴⁸ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 624.

⁴⁹ გულუა გ., ფსიქიკური შოკით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი უპირატესად გერმანიის მაგალითზე, თბილისი, 2018, 19.

⁵⁰ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 627.

⁵¹ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპული სტანდარტებთან, „თსუ, სამართლის ჟურნალი“, N1, 2017, 19.

⁵² გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება ქართული სამართლის მიხედვით, *კერძო სამართლის მიმოხილვა*, N2, 2019, 172.

მაგალითი, კერძოდ დედას აუნაზღაურდა მორალური ზიანი, რაც გამოიწვია 3 შვილის გარდაცვალების ცნობამ, რის გამო 3 კვირის მანძილზე დაკარგა შრომის უნარი და კონტაქტი გარე სამყაროსთან.⁵³ მოცემულ ქეისში არ გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილ წინაპირობათაგან დაავადების ხანგრძლივობა და სერიოზულობა, დედას არ აღენიშნებოდა კლინიკურად დადასტურებული ჯანმრთელობის გაუარესება. ამ ქეისზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობა, რადგანაც ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებლობას, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევას და არა მიზანმიმართულ დანაშაულს და ჩათვალა, რომ კომპენსაციის გაზრდილი ოდენობა ვერ აღმოფხვრიდა პრევენციის გზით გაუფრთხილებლობით ჩადენილ უმართლობას.⁵⁴ მართლაც, კომპენსაციის მიზანი არ უნდა იყოს პირის დასჯა, ამასთან მისი განსაზღვრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ პირის განზრახვას.

შესაბამისად, რაიმე ჩარჩო-პრინციპების ჩამოყალიბება მორალურ ზიანთან მიმართებაში მიზანშეუწონელია, რადგან მორალური მდგომარეობა განსაკუთრებულად სპეციფიკური და ინდივიდუალური საკითხია.

6. ანგლო-ამერიკული მიდგომა

განსხვავებით კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების მიდგომისა, ანგლო-ამერიკული ქვეყნების, კერძოდ ინგლისისა და ამერიკის სამართალი მორალური ზიანის ანაზღაურების მკაცრ წინაპირობად ჯანმრთელობის ხელყოფას არ მიიჩნევს, იგი უშვებს გამონაკლისებს ე.წ „საფრთხის ზონის“ წესის გათვალისწინებით, რისი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ არ არის აუცილებელი, პირს მიადგენს ჯანმრთელობის მძიმე ზიანი, არამედ საკმარისია კონკრეტულმა შემთხვევამ გამოიწვიოს მასში მომეტებული შიში, დაძაბულობა. საკმარისია, არსებობდეს ზიანის პოტენციური მიმყენებელი, რომელმაც განახორციელა მომეტებული რისკი ზიანის მიყენებისა, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, დამდგარიყო ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი. *მომეტებულმა საფრთხემ კი გამოიწვია ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნეგატიური კუთხით ცვლილება.*⁵⁵ მსგავსი რეგულირება და პრაქტიკაში მისი მომრავლება ასოცირდება ბევრ

⁵³ გულუა გ., ფსიქიკური შოკით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი უპირატესად გერმანიის მაგალითზე, თბილისი, 2018, 23.

⁵⁴ ქათამაძე ნ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის

განსაზღვრის კრიტერიუმებზე, „თსუ-ს სამართლის ჟურნალი“, N1, 2018, 105.

⁵⁵ ამოევი ე., ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 20.

საფრთხესთან და პრობლემასთან, კერძოდ დგება საფრთხე მოსარჩელის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა, რამეთუ თუ პირს ეცოდინება, რომ განცდილი შიშისა და დაძაბულობის გამო, რაც ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, მიიღებს სოლიდურ კომპენსაციას, ის აუცილებლად შეიტანს სარჩელს პოტენციური ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება განპირობებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.⁵⁶ შესაძლოა დადგეს მართლაც იმგვარი შემთხვევა, როდესაც, მართალია, სახეზე არ გვაქვს ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც არამატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, თუმცა სამართლიანობის, როგორ უნივერსალური პრინციპის, საფუძვლით მიზანშეწონილი იქნებოდა დაზარალებულის კომპენსაცია. ამის მაგალითები სწორედ ანგლო-ამერიკული ქვეყნების პრაქტიკაში ძალიან ხშირია, მაგალითად:

6.1 Wright v. Coca Cola bottling

ხსენებული საქმის გარემოებები შემდეგია: მოსარჩელემ იყიდა გაზიანი სასმელი, აღმოაჩინა რა, რომ არაბუნებრივი გემო ჰქონდა და შეატყო, რომ სითხე შეიცავდა უცხო სხეულს, კონკრეტულად მღრღნელის ნარჩენებს, რაც დამტკიცდა კიდევ გადაღებული ფოტოებით. მოსარჩელის თქმით, ის მთელი დღე შეუძლოდ გრძნობდა თავს, ჰქონდა დიარეაც. ამ უსიამოვნო გამოცდილების შედეგად დასჩემდა უცნაური სიზმრები, თუ რა მოხდებოდა, მის შვილს რომ დაეღია იგი, გაუჩნდა უნდობლობა და გულდასმით ამოწმებდა ყველა სითხეს მიღებამდე. როგორც ვხედავთ, გამოკვეთილი არ არის ჯანმრთელობის გაუარესება და ამით წარმოშობილი მორალური ზიანი, არამედ სახეზეა დროებითი სულიერი აღელვება და სტრესი. ამის მიუხედავად,

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1156-1176-2011.

სასამართლო მოპასუხეს დააკისრა 2000 დოლარის ოდენობის ანაზღაურების ვალდებულება მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის.⁵⁷ შესაძლოა, აღნიშნული გადაწყვეტილება მიზანშეწონილად შეფასდეს, რადგან სასმელში/საკვებში უცხო სხეულის აღმოჩენა შეიძლება მესამე პირმა რიგით, ყოველდღიურ მოვლენად აღიქვას, თუმცა ამ შემთხვევაში სავსებით რეალურია მომეტებული საფრთხე, რაც შიშისა და დაძაბულობის საფუძველს ქმნის. უცხო სხეულის აღმოჩენა მიღებულ სასმელში, მით უმეტეს, გახრწნილი მღრღნელის ნარჩენებისა, საფუძვლიანად იწვევს პანიკისა და შიშის რეალურ საფუძველს, რამაც შეიძლება ადამიანში ნერვული შოკი/მძიმე სტრესი გამოიწვიოს. სხვა მოსაზრების თანახმად, Wright-ის შემთხვევაში ფსიქიკური მდგომარეობა არ იქნა იმდენად შელახული, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისით მიჩნეული იქნებოდა, როგორც ჯანმრთელობის გაუარესება. ფაქტი აღქმული უნდა იყოს დროებით ფსიქოლოგიურ აღელვებად, რომელიც თავისი ხასიათით სამომავლოდ არანაირ უარყოფით კვალს არ დატოვებდა.⁵⁸

6.2 Dulieu v White & Sons

ხსენებული შემთხვევა ინგლისში მნიშვნელოვანი ორიენტირი გახდა მსგავს შემთხვევებში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების კუთხით, რომელმაც შეცვალა ადრინდელი მიდგომა, როდესაც ფსიქიკური შოკის ანაზღაურება ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე გამოირიცხებოდა.⁵⁹ საქმის გარემოებები შემდეგია: მოსარჩელე ფეხმძიმე ქალი იმყოფებოდა მეუღლის ბარის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოწყობილი იყო მათსავე სახლში, როდესაც ეტლი შეეჯახა მის სახლს, რამაც გამოიწვია არა მისი ფიზიკური დაზიანება, არამედ ნერვული შოკი გამოწვეული საფუძვლიანი შიშით მოპასუხის მიერ გაურთხილებელ ქმედებაზე. ამ ინციდენტიდან ცხრა დღის შემდეგ მოსარჩელემ უნარშეზღუდული ბავშვი გააჩინა, რაც მიზეზობრივ კავშირში იყო მომხდარით გამოწვეულ მორალურ ზიანთან. სასამართლომ იხელმძღვანელა რა „საფრთხის ზონის წესით.“ აღნიშნული წესის მიხედვით, არ არის აუცილებელი მორალური ზიანის მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, რომ სუბიექტმა განიცადოს ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური ტკივილები და მიიღოს ჯანმრთელობის დაზიანება. საკმარისია

⁵⁷ Wright v. Coca Cola Bottling Co., Supreme Court of South Dakota, 414 N.W.2d 608, 1987, <<https://casetext.com/case/wright-v-coca-cola-bottling-co>> [28.02.2022].

⁵⁸ *ამოევი ე.*, ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 23.

⁵⁹ <<https://www.lawteacher.net/free-law-essays/tort-law/the-recovery-of-compensation.php>> [28.03.2022].

არსებობდეს ზიანის პოტენციური მიმყენებელი, რომელმაც განახორციელა გაუფრთხილებელი მოქმედება და მომატებული რისკი ზიანის მიყენებისა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა, რომ დამდგარიყო ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი. პარალელურად ამ ფაქტის წარმოშობისა, მოსარჩელეს, ამ შემთხვევაში იმ პირს, ვისაც, სავარაუდოდ, ზიანი მიადგებოდა, შესაძლოა წარმოშობოდა ფსიქიკური აღელვება და სტრესი. სტრესისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნეგატიური კუთხით ცვლილება კი უკვე მიიჩნეოდა მორალური ზიანის მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლად. მოპასუხეს დააკისრა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

60

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა ჯანმრთელობის, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის, მნიშვნელობა და მისი ხელყოფისას მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები საქართველოსა და უცხოეთის კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოში ჯანმრთელობის დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, განიმარტა იგი საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ ჩამოყალიბებული დებულებების მეშვეობით, ასევე ხაზი გაესვა სსკ-ის 413-ე მუხლის ზოგად შინაარსს და მეორე ნაწილით ნაგულისხმევ იმპერატიულ მოთხოვნას სასამართლო პრაქტიკის ანალიზის პარალელურად, გამოიკვეთა ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეები–სხეული და ჯანმრთელობა –და დადგინდა, რომ მორალური ზიანისთვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილი პირი სწორედ დაზარალებულია და არა მისი ახლო ნათესავი, თუმცა ამის საპირისპიროდ გამოიკვეთა გარკვეული გამონაკლისები.

პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან შეუძლებელია ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპი,რამეთუ ყოველი ადამიანის შინაგანი მდგომარეობა შეუძლებელია მოექცეს რაიმე საერთო სტანდარტში, თუმცა გამოიკვეთა ნორმით განსაზღვრული ზოგადი კრიტერიუმები–სამართლიანობა და გონივრულობა, ანაზღაურების ფუნქციაც–არა სადამსჯელო, არამედ პრევენციული, მორალური ტანჯვის შემსუბუქების მექანიზმი.

ამასთან, ძალზე საინტერესო და აქტუალური საკითხი აღმოჩნდა დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევა, რაზედაც სასამართლო არაერთგვაროვან პრაქტიკას გვთავაზობს, რაც განხილულ ქეისებშიც

⁶⁰< <https://lexpeeps.in/dulieu-v-white-sons-a-case-analysis/> > [11/3/2022]

გამოჩნდა „კერძოდ ერთ შემთხვევაში შვილმკვდარ დედას აუნაზღაურდა მორალური ზიანი ერთ–ერთი მეტად საინტერესო საფუძვლით–დაკრძალვის ტრადიციის სრულყოფილად შესრულების შეუძლებლობა, მეორე შემთხვევაში კი დედა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გარეშე დარჩა. დაზარალებულის ცნობიერების დაკარგვამაც მეტად საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ დაზარალებულის ცნობიერების დონე არ განსაზღვრავს ზიანის ოდენობას სწორედ ანაზღაურების პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე.

განხილულ იქნა გერმანული დოქტრინა, ანგლო–ამერიკული სამართლის სისტემის განსხვავებული მიდგომა ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კერძოდ „საფრთხის ზონის“ წესის გათვალისწინებით, რაც, ერთი მხრივ მეტად, საინტერესო, მეორე მხრივ კი საფრთხისშემცველია, რაზედაც გამოითქვა კიდევ ვარაუდები, თუ რა შედეგები დადგებოდა, ქართულ კანონმდებლობაში ჰიპოთეტურად თუ დავუშვებდით საფრთხის ზონის წესის გათვალისწინებას მართლმსაჯულების პროცესში.

შესაბამისად, ფორმატის გათვალისწინებით ნაშრომის მიზანი–გარკვეულიყო 413–ე მუხლის გამოყენების წინაპირობები და ფარგლები, გაანალიზებულიყო სასამართლო პრაქტიკა და შედეგად განსაზღვრულიყო მნიშვნელოვანი ასპექტები თემის ირგვლივ, მიღწეულ იქნა.ზოგადად კი არამატერიალური ზიანი მისი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე საჭიროებს ბევრად ვრცელ ფორმატში მის ღრმა და სისტემურ გაანალიზებას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 24/08/1995.
2. პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია, ნოემბერი, 2002 წელი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997
4. Universal Declaration of Human Rights, December 10th, 1948.
5. Universal Declaration of Human Rights, Article 25.
6. Constitution of the World Health Organization, Forty-fifth edition, Supplemental, October 2006.
7. ამოევი ე.,ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.
8. ბერიძე ნ., *არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისას*, შედარებითი სამართლის ქართულ–გერმანული ჟურნალი, 62.
9. ბიჭია მ., *პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან*, „თსუ–ს სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი,2012, 330.

10. ბიჭია მ., *დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა*, სამართალი და მსოფლიო, 2016,, 53.
11. ბიჭია მ., *არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი*, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბილისი, 2016, 99.
12. ბიჭია ბ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2012, 330.
13. გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება ქართული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019, 172.
14. გულუა გ., ფსიქიკური შოკით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი უპირატესად გერმანიის მაგალითზე, თბილისი, 2018, 19.
15. დანელია თ., პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2019, 37.
16. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, 473.
17. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 133.
18. ი.კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბილისი, 2014, 135
19. ნ.პეპანაშვილი, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2016, 43.
20. რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია(რედ), 2019, მუხლი 413–ე.
21. ნ.ქათამაძე, *არაქონებრივი ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე*, თსუ–ს სამართლის ჟურნალი, N1, 2018 წელი, 100.
22. ძლიერაშვილი ზ., „სატრანსპორტო საშუალები ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“, "სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. 111.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი, 2007. 69.
24. ქ.მესხიშვილი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების განხილვა, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი,“ თბილისი, 2012, 102.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-477-477-2018.
26. საქართველოს სკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება საქმეზე N#2/3/441,
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის №ას-669-2019 გადაწყვეტილება.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1156-1176-2011.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება. #ბს-78-78(კ-12)

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1477-1489-2011).
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე #ბს-972-936 (3კ-08).
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-593-56820169.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-979-940-2014.
34. Wright v. Coca Cola Bottling Co., Supreme Court of South Dakota, 414 N.W.2d 608, 1987
35. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ, 19 ივლისი 2018.
36. <https://www.lawteacher.net/free-law-essays/tort-law/the-recovery-of-compensation.php>.

Mariam Kobalia*

Violation of the right to health and compensation for moral damages within the scope of Article 413 of the Civil Code

The present article covers the cases, preconditions and grounds for claiming compensation for moral damages provided for in the second part of Article 413 of the Civil Code of Georgia includes analysis of both Georgian and foreign legal arrangements and court precedents; The work discusses what is the essence of moral damage, bodily harm/ passion for health, how important is the right to health , The work also covers the discussion of the period of limitations in cases of moral damage, the specific of moral damages to minors, there is also highlighted a clear and uniform precedent about compensation for moral damages caused by the death of relatives, Specifics and objectives of determining the compensation of general moral costs. The work draws a clear line between damage caused by a tort and the case of the second part of Article 413.

Keywords: Health, A right to health, Moral / non-pecuniary damage, Personal non-property rights, Mental health, Harm to health, Compensation.

* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, BA Student.